განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს ისტორია, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
06.02.18

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18.04.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის დოქტორი. კვალიფიკაციის კოდი - 1004
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ერეკლე ასტახიშვილი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჯიქია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქურდიანი, თბილისის სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მდებარეობს თბილისში (ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №9). სწავლების ენა ქართულია. პროგრამის დანერგვის და შემდგომი აკრედიტაციის ძირითადი მიზანია მოამზადოს 21-ე საუკუნის თანამედროვე ცოდნით, კვლევის მეთოდებით და ანალიზის უნარით აღჭურვილი მკვლევარები.

კვლევის სფეროებია: საქართველოს ისტორია სხვადასხვა ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ჩარჩოში, საქართველოს ცალკეული რეგიონების, განსაკუთრებით აფხაზეთის, ისტორია. საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების ეპიგრაფიკა, ისტორიოგრაფია და სხვ.

პროგრამის დანერგვის საფუძველია საზოგადოდ არსებული ისტორიის სწავლის, სწავლების ხარისხის და კვლევის თანამედროვე დონის დეფიციტი, ასევე, მომავალში მისი განვითარების სურვილი და საჭიროება.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 6 თებერვალს. ვიზიტამდე წინა დღეს, 5 თებერვალს, განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 16.00-ზე და 20.00-მდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანალიზისა და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

6 თებერვალს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10.00-დან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, მოქმედ დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები,კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო ნაწილობრივ შეესაბამება პირველ და მეორე სტანდარტის მოთხოვნებს.

- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია რეგულაცია უნივერსიტეტის პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ. პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი, გასაუბრება სპეციალობაში (საქართველოს ისტორია) და უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) გამოცდის ჩაბარება B2 დონეზე.
- სწავლის შედეგები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნად, საქართველოს ისტორიის საფუძვლიანად მცოდნე კადრების მომზადებაზე. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან რაც საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებული დასაქმებულია სოხუმის უნივერსიტეტშიც.
- უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და ასევე, სხვადასხვა კვლევით პროექტში. პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო პრაქტიკას სპეციალობაში უნივერსიტეტის ფარგლებში (ლექციის ჩატარება, შუალედური გამოცდისთვის საკითხების/ტესტების მომზადება, სტუდენტთა შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ნაშრომების გასწორება, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა). უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. ამავე დროს, სასურველია პროგრამის მესვეურთა ზრუნვა მომავალი დოქტორების განათლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაზრდაზე.

უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. თუმცა შენობის ნაწილი ბოლომდე არ არის გარემონტებული. აგვიხსნეს, რომ თანხები გამოყოფილია და მალე რემონტი დასრულდება. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალით. აკადემიური პერსონალი შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებულად განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სასწავლო კურსის მიწოდება ხდება სილაბუსის მიხედვით, რომელშიც მითითებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ ერთ ერთ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია 2 წიგნი, რომელიც გამოიყენება ბაკალავრიატის საფეხურზე.. ამავე დროს აკლია ბოლო პერიოდში საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში გამოცემული საყურადღებო ნაშრომები. სილაბუსის ავტორმა განგვიმარტა, რომ ლიტერატურა განახლებულია და აღნიშნული ხარვეზი

გასწორებული. ის, რომ ლიტერატურა უკვე შეძენილია, დადასტურდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დათვალიერებით.

რეკომენდაციები

გაიზარდოს პროგრამაში სასწავლო დისციპლინების არჩევითობის ხარისხი.

საგნის შინაარსიდან გამომდინარე განისაზღვროს საგნის დასახელება სასწავლო დისციპლინისა „სწავლების თანამედროვე მეთოდები“. სილაბუსში წარმოდგენილი კურსის შინაარსი მეტ წილად არ პასუხობს სათაურს. მიგვაჩნია, რომ კურსის სათაურში უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილება, ან სათაური დარჩეს უცვლელი და კურსის შინაარსში მოხდეს მეტი აქცენტირება სწავლების თანამედროვე მეთოდებზე.

გადამუშავდეს საგნის „აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“ სილაბუსი და მოვიდეს შესაბამისობაში დოქტორანტურის საფეხურთან. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების პირობებში, კურსის შინაარსში მეტი აქცენტირება უნდა გაკეთდეს თვისობრივი კვლევის მეთოდების დეტალურ შესწავლაზე. ეს უნდა აისახოს სავალდებულო ლიტერატურაში და გაიწეროს კურსის შინაარსში.

განახლდეს ძირითადი ლიტერატურა საგნის „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX – XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ სილაბუსში.

მისაღებ გამოცდაზე აპლიკანტს უნდა მოეთხოვოს ინგლისურის, გერმანულის ან ფრანგულის არანაკლებ **B-2** დონეზე ცოდნა.

სავალდებულო უნდა გახდეს საქართველოს ისტორიაში მისაღები გამოცდა. სავალდებულო უნდა გახდეს აპლიკანტისთვის სამოტივაციო წერილის წარმოდგენა (სასურველია სამეცნიერო პროექტის ელემენტებით).

გაერთიანდეს სასწავლო კურსები „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIII-XVIII საუკუნეები.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ და „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX–XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ და მისი წინაპირობა გახდეს სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები *უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“.

შეიცვალოს შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების ტესტური მეთოდი თხზულების ტიპის გამოცდით. სილაბუსებში საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დაინერგოს შეფასების განსხვავებული მეთოდები.

პროგრამაში გაწერილი უნდა იყოს ინდივიდუალური საათების რაოდენობა, ანუ უშუალოდ სტუდენტებსა და პედაგოგებს, აკადემიურ პერსონალსა თუ ნაშრომის ხელმძღვანელებს

შორის ინდივიდუალური მუშაობის საათების რაოდენობა, რომელსაც ისედაც ითვალისწინებს მათი სწავლების გრაფიკი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უნივერსიტეტმა სასურველია იზრუნოს დასაქმების ბაზრის დივერსიფიკაციაზე.

დაჩქარდეს ელექტრონული ბაზის შექმნა

მოხდეს სტუდენტების უფრო მეტი ინფორმირება დასაქმების და კარიერული ზრდის თვალსაზრისით.

სასურველია გააქტიურება უფრო მეტი გაცვლითი პროგრამების ორგანიზებისათვის და უცხოელი ლექტორების მოწვევა და ჩართულობა, რაც გააუმჯობესებს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხს.

სასურველია ცალკეული პროფესორის მეტი აქტიურობა საზღვარგარეთ ნაშრომების პუბლიკაციებთან მიმართებით

სასურველი იქნება თუ უნივერსიტეტი სამომავლოდ ბიუჯეტში გაითვალისწინებს წარჩინებული სტუდენტებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

1.1	პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის

ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მისიაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა აკადემიური დონის კურსდამთავრებულების მომზადება. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის სფეროში კონკურენტუნარიანი მკვლევარი-ისტორიკოსების მომზადებას, რომლებიც წარმატებით იმოღვაწებენ, როგორც სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ისე საგანმანათლებლო სივრცეში; შეძლებენ კრიტიკულად გაანალიზონ, შეაფასონ ისტორიული ფაქტები და მოვლენები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ინფორმაციის შეგროვებასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების ნაწილი („აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“, „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX – XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“) გადამუშავების შემთხვევაში შესაძლებელს გახდის მიზნის მიღწევას. დოქტორანტს შესაძლებლობა მიეცემა საკვლევი თემის ფარგლებში წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა სათანადოდ მოიძიოს და დაამუშაოს. კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მუზეუმებში, არქივებში, სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში და სხვ. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე - სამივე კურსდამთავრებული დასაქმებულია და სამი სასწავლო კურსის გადამუშავების შემთხვევაში (იხ.: ზემოთ) პროგრამის მიზანი მიღწევადი გახდება. ეს საკითხი უკავშირდება 1.2 და 1.3 კომპონენტებს შინაარსობლივად და ამიტომ 1.1-ს ნაწილობრივი შეფასება აისახება 1.2.და 1.3 კომპონენტების შეფასებაზე. ვინაიდან 1.2. კომპონენტი ეხება სწავლის მიზნის, შედეგების და მეთოდოლოგიის შესაბამისობის საკითხებს, და 1.3 კომპონენტი ეხება პროგრამის სწავლის შედეგების საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერის შესაბამისობის საკითხს. აღნიშნულიდან გამომდინარე თუ დაწესებულება გაითვალისწინებს ექსპერტების მიერ გაწერილ რეკომენდაციას, შემდგომ შესაძლებელი იქნება განვიხილოთ სტანდარტის სამივე კომპონენტის შესაბამისობის საკითხი (მხოლოდ ამ რეკომენდაციის შესრულების შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o უნივერსიტეტის მისია o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: ეს საკითხი უკავშირდება 1.2 და 1.3 კომპონენტებს შინაარსობლივად და ამიტომ 1.1-ს ნაწილობრივი შეფასება აისახება 1.2.და 1.3 კომპონენტების შეფასებაზე. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების ნაწილი („აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“, „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX – XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“)

უნდა გადამუშავდეს:

სასწავლო დისციპლინის „სწავლების თანამედროვე მეთოდების“ სილაბუსში გაწერილი საკითხები აცდენილია საგნის დასახელებას. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საგანს შეეცვალოს დასახელება, ან გადამუშავდეს სილაბუსი და მოვიდეს დასახელებასთან შესაბამისობაში. სილაბუსში წარმოდგენილი კურსის შინაარსი მეტ წილად არ პასუხობს სათაურს. მიგვაჩნია, რომ კურსის სათაურში უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილება, ან სათაური დარჩეს უცვლელი და კურსის შინაარსში მოხდეს მეტი აქცენტირება სწავლების თანამედროვე მეთოდებზე.

საგნის „აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“ სილაბუსში სასწავლო კურსის მიზნებში აღნიშნულია, რომ კურსის მიზანია დოქტორანტებისთვის ოფიციალური დოკუმენტების (დახასიათება, ბიოგრაფია, ავტობიოგრაფიული რეზიუმე (CV), რეკომენდაცია, განცხადება, თხოვნა, განმარტებითი ბარათი და სხვ.) შედგენის სწავლება. აღნიშნული უნარჩვევები სტუდენტს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს ბაკალავრიატის დონეზე. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების პირობებში,მიგვაჩნია, რომ კურსის შინაარსში მეტი აქცენტირება უნდა გაკეთდეს თვისობრივი კვლევის მეთოდების დეტალურ შესწავლაზე. ეს აისახოს სავალდებულო ლიტერატურაში და გაიწეროს კურსის შინაარსში.
საგნის „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX–XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია „*საქართველოს ისტორია.* XIX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის“ და *საქართველოს ისტორია.* XX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის“. აღნიშნული ლიტერატურით მიმდინარეობს სწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე, შესაბამისად აღნიშნული მასალა ამოღებულ უნდა იქნეს ლიტერატურის სიიდან. და მოხდეს ლიტერატურის განახლება

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას კვლევის სფეროებია: საქართველოს ისტორია სხვადასხვა ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ჩარჩოში, საქართველოს ცალკეული რეგიონების, განსაკუთრებით აფხაზეთის, ისტორია. საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების ეპიგრაფიკა, ისტორიოგრაფია, თანამედროვე კვლევების მეთოდები, ევროკავშირის უმაღლესი განათლების განვითარების სტრატეგია და სხვ.

სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები *უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (35 საკონტაქტო, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (საკონტაქტო 35 საათი, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია და სხვ. სასწავლო კურსის შინაარსი არ ასახავს საგნის დასახელებას, შესაბამისად სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა ვერ უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას (იხ.1.3)
სასწავლო კურსი „აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (35 საკონტაქტო, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, პროექტის შემუშავება, პრეზენტაცია. სასწავლო კურსის შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების მესამე საფეხურისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.
სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIII-XVIII საუკუნეები.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (საკონტაქტო 35 საათი, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების

მოცულობა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX – XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (საკონტაქტო 35 საათი, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეიცავს ხარვეზს და საჭიროებს განახლებას (იხ.: 1.3.). სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროები. *უძველესი დროიდან XX ს. I ნახევრის ჩათვლით*“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (საკონტაქტო 35 საათი, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსი „ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (საკონტაქტო 35 საათი, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსი „თანამედროვე აფხაზეთის ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი იერ-სახე უძველესი დროიდან XX ს. მიწურულამდე“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (საკონტაქტო 35 საათი, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ანალიზის მეთოდი, სინთეზის სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსი „ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქართული ნარატიული წყაროები“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (საკონტაქტო 35 საათი, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსი „საქართველო საერთაშორისო არენაზე ათასწლეულების მიჯნაზე“ 6 კრედიტიანია და მოიცავს 150 საათს (საკონტაქტო 35 საათი, 115 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსი „ჯავახეთის ეპიგრაფიკა“ 3 კრედიტიანია და მოიცავს 75 საათს (საკონტაქტო 20, 55 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსი „აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები“ 3 კრედიტიანია და მოიცავს 75 საათს (საკონტაქტო 20, 55 დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კვლევითი კომპონენტი მოიცავს 120 კრედიტს (კოლოკვიუმი-15 კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა-105 კრედიტი). დაცვაზე დაიშვება დოქტორანტი, რომელსაც შესრულებული აქვს სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) და დოქტორანტის 15 კრედიტიანი კოლოქვიუმი. (იხ.2.2)
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან o ინტერვიუ დოქტორანტებთან o ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან o ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: იხ. ჩვენი გამოთქმული მოსაზრება 1.1-ში, ხოლო რეკომენდაცია 1.3-ში. წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი 120 ECTS კრედიტი ეთმობა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. **სასწავლო კომპონენტი** გადანაწილებულია სწავლების **პირველ** და **მეორე** სემესტრებზე, შესაბამისად, აღნიშნულ სემესტრებში დოქტორანტი აითვისებს ***21 ECTS სავალდებულო კრედიტს*** (სწავლების თანამედროვე მეთოდები, დოქტორანტის სემინარი 1 და სემინარი 2, პროფესორის ასისტენტობა, აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით) და ***39 ECTS დარგობრივ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.***

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს *120 ECTS კრედიტს,* რომელიც, ძირითადად, გადანაწილებულია სწავლების **მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე** სემესტრებზე. კვლევითი კომპონენტის 15 ECTS კრედიტი ეთმობა კოლოქვიუმის მომზადებასა და პრეზენტაციას; 105 ECTS კრედიტი კი - სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას, საბოლოოდ გაფორმებასა და პრეზენტაცია/საჯარო დაცვას.

პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსს წარმოადგენს „ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები“, არჩევით სასწავლო კურსებში კი წარმოდგენილია სასწავლო დისციპლინები „აფხაზეთის ეპიგრაფიკა“ და „ჯავახეთის ეპიგრაფიკა“. ამასთან არჩევითი კურსების რაოდენობა მხოლოდ ოთხს წარმოადგენს. ეს გარკვეულწილად იძულებულს ხდის დოქტორანტს არჩევითი კურსებიდან ისევ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე გააკეთოს არჩევანი. სავსებით შესაძლებელია დოქტორანტის ინტერესების სფეროს არ წარმოადგენდეს ეპიგრაფიკული ძეგლების სიღრმისეული შესწავლა.

გარდა ამისა, დოქტორანტებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ მათთვის სასურველია გაიზარდოს არჩევითი საგნების რაოდენობა.

სასწავლო დისციპლინის „სწავლების თანამედროვე მეთოდების“ სილაბუსში გაწერილი საკითხები აცდენილია საგნის დასახელებას. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საგანს შეეცვალოს დასახელება, ან გადამუშავდეს სილაბუსი და მოვიდეს დასახელებასთან შესაბამისობაში. სილაბუსში წარმოდგენილი კურსის შინაარსი მეტ წილად არ პასუხობს სათაურს. მიგვაჩნია, რომ კურსის სათაურში უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილება, ან სათაური დარჩეს უცვლელი და კურსის შინაარსში მოხდეს მეტი აქცენტირება სწავლების თანამედროვე მეთოდებზე.

საგნის „აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“ სილაბუსში სასწავლო კურსის მიზნებში აღნიშნულია, რომ კურსის მიზანია დოქტორანტებისთვის ოფიციალური დოკუმენტების (დახასიათება, ბიოგრაფია, ავტობიოგრაფიული რეზიუმე (CV), რეკომენდაცია, განცხადება, თხოვნა, განმარტებითი ბარათი და სხვ.) შედგენის სწავლება. აღნიშნული უნარჩვევები სტუდენტს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს ბაკალავრიატის დონეზე. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების პირობებში,მიგვაჩნია, რომ კურსის

შინაარსში მეტი აქცენტირება უნდა გაკეთდეს თვისობრივი კვლევის მეთოდების დეტალურ შესწავლაზე. ეს აისახოს სავალდებულო ლიტერატურაში და გაიწეროს კურსის შინაარსში.

საგნის „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX–XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია „*საქართველოს ისტორია.* XIX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის“. რედ.: ***ვახტანგ გურული, ბონდო კუპატაძე.*** თბ., 2000 და *საქართველოს ისტორია.* XX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის“. რედაქტორი ***ვახტანგ გურული.*** თბ., 2003. აღნიშნული ლიტერატურით მიმდინარეობს სწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე, შესაბამისად აღნიშნული მასალა ამოღებულ უნდა იქნეს ლიტერატურის სიიდან. და მოხდეს ლიტერატურის განახლება
უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამაში მხოლოდ სამმა დისერტანტმა დაიცვა დისერტაცია. სამივე დისერტაცია წიგნად არის გამოცემული. ვიზიტის ფორმატის ფარგლებში გაცნობილი დისერტაციის აბსტრაქტები აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სოხუმის უნივერსიტეტის დოკუმენტაცია
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში
- სილაბუსები

რეკომენდაციები

უნდა გაიზარდოს პროგრამაში სასწავლო დისციპლინების არჩევითობის ხარისხი.

საგნის შინაარსიდან გამომდინარე განისაზღვროს საგნის დასახელება სასწავლო დისციპლინისა „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ (იხ.1.1)

გადამუშავდეს საგნის „აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“ სილაბუსი და მოვიდეს შესაბამისობაში დოქტორანტურის საფეხურთან. მეტი აქცენტირება გაკეთდეს თვისობრივი კვლევის მეთოდების დეტალურ შესწავლაზე. ეს აისახოს სავალდებულო ლიტერატურაში და გაიწეროს კურსის შინაარსში.
(იხ.1.1)
განახლდეს ძირითადი ლიტერატურა საგნის „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX – XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ სილაბუსში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დამსაქმებლებს (გორის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს). გაირკვა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დღემდე წარმოადგენს უნივერსიტეტისათვის პოტენციურ დამსაქმებელს. უნივერსიტეტის არცერთი კურსდამთავრებული ჯერ-ჯერობით ხელნაწერთა ცენტრში არ დასაქმებულა, თუმცა ხელნაწერთა ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, სათანადო ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში მათთვის სასურველი იქნება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ცენტრში დასაქმება. უნივერსიტეტის ერთი კურსდამთავრებული გორის სასწავლო უნივერსიტეტში იკავებს მაღალ პოზიციას - არის ფაკულტეტის დეკანი. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი უნივერსიტეტშია დასაქმებული და ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამრიგად, დამსაქმებლები მწირად იყვნენ წარმოდგენილი (რეალურად მხოლოდ ერთი). ამავე დროს აქამდე არსებული პროგრამის სამივე კურსდამთავრებული დასაქმებულია (ორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში). პირველი სტანდარტის 1.1, 1.2 და 1.3 კომპონენტებში გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანი იქნება შრომით ბაზარზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის დოკუმენტაცია
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები: იხ. ზემოგამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები 1.1,1.2, 1.3.

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შემუშავებაში იყვნენ ჩართული აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები, კურსდამთავრებულები.

დამსაქმებელთან და პოტენციურ დამსაქმებელთან შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი იცნობდნენ პროგრამას.

აქედან გამომდინარე, მათ მიაჩნიათ, რომ პროგრამა აკმაყოფილებს დამსაქმებლის მოლოდინს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან o თვითშეფასების ანგარიში o სოხუმის უნივერსიტეტის დოკუმენტაცია o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან o ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან o ინტერვიუ დოქტორანტებთან o ინტერვიუ დამსაქმებელთან და პოტენციურ დამსაქმებელთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვი უნივერსიტეტმა სასურველია იზრუნოს დასაქმების ბაზრის დივერსიფიკაციაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აპლიკანტს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) არანაკლებ **B-2** დონეზე ცოდნა. მხოლოდ რუსული ენის ცოდნით დოქტორანტი ვერ შეძლებს საერთაშორისო მასშტაბით კომუნიკაციას და ინტერნაციონალიზაციას. შესაბამისად მისაღებ გამოცდაზე აპლიკანტისთვის სავალდებულო უნდა გახდეს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის **B-2** დონეზე ცოდნა. მისაღებ გამოცდებზე საქართველოს ისტორიაში გათვალისწინებულია გასაუბრება, რომლის დროსაც აპლიკანტს მოეთხოვება საქართველოს ისტორიის ზოგადი პრობლემატიკის ცოდნა, რაც, ჩვენი აზრით, იქნება მთავარი შემაფერხებელი გარემოება პროგრამით გათვალისწინებულ შედეგზე გასვლის თვალსაზრისით. უნდა ჩატარდეს მისაღები გამოცდა საქართველოს ისტორიაში. განისაზღვროს და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსდეს ის სავალდებულო სპეციალიზირებული თანამედროვე ლიტერატურა, რომლითაც გამოცდისათვის მოემზადება აპლიკანტი. ასევე სავალდებულო უნდა გახდეს აპლიკანტისთვის სამოტივაციო წერილის წარმოდგენა (სასურველია

სამეცნიერო პროექტის ელემენტებით).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o სოხუმის უნივერსიტეტის დოკუმენტაცია o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან o ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან o ინტერვიუ დოქტორანტებთან o ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები მისაღებ გამოცდაზე აპლიკანტს უნდა მოეთხოვოს ინგლისურის, გერმანულის ან ფრანგულის არანაკლებ **B-2** დონეზე ცოდნა. სავალდებულო უნდა გახდეს საქართველოს ისტორიაში მისაღები გამოცდა. სავალდებულო უნდა გახდეს აპლიკანტისთვის სამოტივაციო წერილის წარმოდგენა (სასურველია სამეცნიერო პროექტის ელემენტებით).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვ. სწავლის მეთოდები მორგებულია კომპონენტის შინაარსსა და სპეციფიკას.

დოქტორანტის სემინარი უნდა მოიცავდეს არანაკლებ 15 გვერდს და ფასდება მაქსიმუმ 60 ქულით. ქულები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: მოძიებული მასალის, მონაცემების სანდოობის შეფასება - 10 ქულა, ფორმალური მხარე - 10 ქულა, შინაარსობრივი მხარე (საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, წინასწარ მიღებული შედეგების არგუმენტირებული დასაბუთება) – 30 ქულა, პრეზენტაციის ტექნოლოგია - 10 ქულა.

პროფესორის ასისტენტობა შეადგენს მინიმუმ 3 კრედიტს და დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს აღნიშნული კრედიტი დააგროვოს შემდეგი სახის აქტივობებიდან: ლექციის ჩატარება, ნაშრომების გასწორება, საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირება. პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს შეფასება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია.

დოქტორანტის მიერ **კოლოქვიუმზე** წარმოდგენილი ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს *სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული* ერთი კონკრეტული ეპიზოდის/მსხვილი პრობლემის საჯარო პრეზენტაციას. კოლოკვიუმი გადაეცემა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს (რეცენზენტებს) შესაფასებლად.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს: შესავალ ნაწილს (სატიტულო გვერდი, სარჩევი, შესაძლებელია მოიცავდეს ანბანურ საძიებელს და მადლიერების გვერდს), ძირითად ტექსტს (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა/საკვლევი პრობლემის შესწავლის საკითხის წარმოჩენა, პრობლემის კვლევა და კვლევის შედეგების შეჯერება, ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა), საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სადისერტაციო ნაშრომს დაერთოს ნახაზები და დანართები.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება 100-ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემით, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: დასმული პრობლემის აქტუალურობა

და კვლევის მიზანი - მაქსიმუმ 20 ქულა, პრობლემის იდენტიფიცირება, ანალიზის სიღრმე, კვლევის მეთოდოლოგია და ხარისხი - მაქსიმუმ 20 ქულა, ინფორმაციის გამოყენების ეფექტურობა - მაქსიმუმ 15 ქულა, უცხოური გამოკვლევების ჩართულობის ხარისხი - მაქსიმუმ 15 ქულა, შედეგები და დასკვნები - მაქსიმუმ 20 ქულა, პრეზენტაციის ტექნოლოგია და კონტაქტი აუდიტორიასთან - მაქსიმუმ 10 ქულა. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები **შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან** **სილაბუსები**
რეკომენდაციები:წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სასწავლო კურსის „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX–XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ წინაპირობაა სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები *უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“, ხოლო სასწავლო კურსს „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIII-XVIII საუკუნეები.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ წინაპირობა არ აქვს. გარდა ამისა, ერთ სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსები „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIII-XVIII საუკუნეები.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ და „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX–XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ (წესით პირველი საგანი უნდა იყოს მეორის წინაპირობა).
უნდა გაერთიანდეს ზემოთ დასახელებული ორი სასწავლო კურსი და მის წინაპირობად იქცეს სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები *უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“.
დანარჩენი საგნების კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურია.
კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტს მოიცავს (15+105). დაცვაზე დაიშვება დისერტანტი, რომელსაც შესრულებული აქვს სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) და დოქტორანტის კოლოკვიუმი (იხ.2.2)
სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ხდება სწავლების მეორე ან მესამე სემესტრში. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით დოქტორანტი ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას, რომელშიც მოცემულია დოქტორანტის კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი. დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ასევე ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
კვლევით კომპონენტში ერთიანი 105 კრედიტის მინიჭება ხდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან
- ინტერვიუ დოქტორანტებთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

გაერთიანდეს სასწავლო კურსები „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIII-XVIII საუკუნეები.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ და „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. *XIX–XXI ს. დამდეგი* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ და მისი წინაპირობა გახდეს სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები *უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით.* ისტორიოგრაფიულ ჭრილში“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში შუალედური და ფინალური შეფასებისას გამოიყენება ტესტური მეთოდი, რაც, ჩვენი აზრით, ვერ უზრუნველყოფს დოქტორანტის კრიტიკული აზროვნების, მსჯელობისა და ანალიზის უნარების სათანადოდ გამოვლენას. აუცილებელია შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების ტესტური მეთოდი შეიცვალოს თხზულების ტიპის გამოცდით. სილაბუსების უმეტესობაში შეფასების მეთოდები ემთხვევა ერთმანეთს, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია განსხვავებული შეფასების მეთოდების დანერგვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან o ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან o ინტერვიუ დოქტორანტებთან o ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები: უნდა შეიცვალოს შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების ტესტური მეთოდი თხზულების ტიპის გამოცდით. უნდა მოხდეს სილაბუსებში საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების განსხვავებული მეთოდების დანერგვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის განხილული თითოეულ სილაბუსში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების და ნაკლოვანებების შესახებ. ამავე დროს, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას გაირკვა, რომ სტუდენტებთან უკუკავშირი ხდება ვერბალური გზით, სოციალური ქსელებით და ელ.ფოსტით. როგორც განგვიმარტეს ამჟამად მიმდინარეობს უნივერსიტეტში ელექტრონული ბაზის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებთან უფრო აქტიურ კომუნიკაციას. მათ ინფორმირებულობას სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან o ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან o ინტერვიუ დოქტორანტებთან o ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან o სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის დაჩქარდეს ელექტრონული ბაზის შექმნა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

- აღსანიშნავია, რომ შესაფასებელი პროგრამა შექმნილია 2013 წელს აკრედიტირებულ პროგრამაზე დაყრდნობით. ხარისხის მართვის სამსახურის განმარტებით, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ჩატარებული გამოკითხვებით და რჩევების გათვალისწინებით შეიქმნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის გაუმჯობესებული ვარიანტი. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროს შეხვდა როგორც ამ სადოქტორო პროგრამის პირველ, მეორე და მესამე კურსის სტუდენტებს, ასევე ამავე პროგრამის კურსდამთავრებულებს და აკადემიურ პერსონალს. გასაუბრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფს, ფაკულტეტის ახალ პროგრამაზე ჩამოუყალიბდა ადეკვატური და ობიექტური წარმოდგენა.

- ფაქტობრივი მდგომარეობით უნივერსიტეტში არაა ელექტრონული ბაზა, რაც ექსპერტების აზრით ხელს უშლის ინფორმაციის გაცვლას სტუდენტებსა და უნივერსიტეტს შორის. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის განმარტებით, ელექტრონულ ბაზასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების პროცესი მიმდინარეობს. მათი მტკიცებით 2018 წლის თებერვლის ბოლომდე ამუშავდება ახალი ელექტრონული ბაზა და ეს შეფერხება არანაირად არ აისახება კონკრეტულ შესაფასებელ პროგრამაზე ვინაიდან, სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტების მიღება იგეგმება 2018 წლის სექტემბრიდან. ექსპერტების აზრით, უნივერსიტეტს აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი (კომპიუტერები, ელექტრონული ბიბლიოთეკა), რაც გამოიკვეთა უნივერსიტეტის დათვალიერების დროს და უნივერსიტეტში ელექტრონული ბაზის ამუშავების შემთხვევაში, ამ მიმართულებით არ უნდა იყოს არანაირი პრობლემა.
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების შედეგად - აგრეთვე, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან, სადაც წარმოდგენილია სილაბუსები, დაცული დისერტაციები და შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, დასტურდება ის მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის გაცვლა არ ხდება ელექტრონულად, ყოველი სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის

საჭირო ინფორმაციას, უშუალოდ თავისი პროგრამის ხელმძღვანელისგან და ასევე ხარისხის მართვის სამსახურისგან ან ზოგადად აკადემიური პერსონალისგან. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტი ღებულობს სრულ მხარდაჭერას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან და აკადემიური პერსონალისგან, რაც უმარტივებს სტუდენტებს სწავლების პერიოდში თავისი პროფილის განსაზღვრას. როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულების მტკიცებით, ცალკეული სტუდენტისთვის შესაძლებელია აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობა როგორც სოციალური ქსელის ან მობილურის საშუალებით, ასევე სტუდენტების მტკიცებით მათთვის არასდროს ყოფილა პრობლემა პირადად პედაგოგთან გასაუბრებით მიეღოთ მათთვის საჭირო დახმარება - ინფორმაცია. კონკრეტული წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია საკონსულტაციო საათები, (კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით), რაც აგრეთვე ამარტივებს სტუდენტების ურთიერთობას აკადემიურ პერსონალთან.

- სტუდენტების მიღწევების გაუმჯობესებას ხელს უწყობს ხარისხის სამსახურის აქტიური ჩართულობა მის ყველა ელემენტში, რაც გამოიხატება გასული სემესტრების განმავლობაში, მათ მიერ ჩატარებულ ყოველ სემესტრულ გამოკითხვებში. კითხვარები ეხება როგორც აკადემიურ პერსონალს ასევე კონკრეტულ პროგრამას, პროგრამის სილაბუსს, უნივერსიტეტში არსებული ინფორმაციის გაცვლის მექანიზმებს და სწავლების მეთოდოლოგიას. სტუდენტებს აქვთ საშუალება ანონიმურად შეაფასონ, როგორც კონკრეტული საგანი ისე განაცხადონ ნებისმიერი სახის პრეტენზია უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურში. სტუდენტები ადასტურებენ უნივერსიტეტში ყოველწლიურ ცვლილებას უკეთესობისკენ,
- განცხადება განიხილება და შემდგომში მისი ადეკვატურობის შესაფერისი გადაწყვეტილებაა მიღებული. უნივერსიტეტის მხრიდან გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა აისახება ხარისხის მართვის სამსახურის მჭიდრო ურთიერთობით სტუდენტებთან და მათი აზრის გათვალისწინებით. დოქტორანტურის სტუდენტების მტკიცებით, მათ ხელმძღვანელებთან ურთიერთობის პრობლემა არ ჰქონიათ. ისინი ადასტურებენ, რომ თავიანთ კვლევით ნაშრომებზე მუშაობისას მათ უნივერსიტეტი ურჩევს ხელმძღვანელს საკუთარი თემის მიხედვით და ხაზს უსვავენ რომ კმაყოფილები არიან, ხელმძღვანელებთან მუშაობით,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

o სემესტრული გეგმა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დაჩქარდეს ელექტრონული ბაზის შექმნა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამის და კონკრეტული სილაბუსების მიხედვით, აკადემიური პერსონალის სამუშაო გრაფიკი გულისხმობს ყოველკვირეულ კონსულტაციებს სტუდენტებთან. ნათლად არის ასახული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის საათები და ჯგუფური მუშაობისთვის გამოყოფილი დრო. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ვინაიდან ეს პროგრამა სადოქტოროა, რაც ითვალისწინებს თავისთავად ხელმძღვანელსა და დოქტორანტის ინდივიდუალურ მუშაობას, პროგრამაში ან/და სილაბუსებში ცალკე გამოყოფილად არ იყო ჩადებული ინდივიდუალური მუშაობისთვის განკუთვნილი დრო. გასაუბრების დროს სტუდენტების მტკიცებით მათი სამუშაო გრაფიკი ითვალისწინებს ინდივიდუალურ მუშაობას, ეს იგეგმება პროფესორთან სიტყვიერი მოლაპარაკებით. ექსპერტების რჩევა იქნება, პროგრამაში გაწერილი იყოს საათების ის რაოდენობა რასაც ისედაც ითვალისწინებს მათი სწავლების გრაფიკი და რაც სამწუხაროდ არსად არაა აღნიშნული, თვითშეფასების ანგარიშის გარდა. საკონსულტაციო დღეები და საათები დგინდება ინდივიდუალურად

სტუდენტებთან პირადი სურვილის გათვალისწინებით. ყოველი ეს მტკიცდება ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებთან თუ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად. o აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას, სადოქტორო პროგრამაზე საქართველოს ისტორიაში, წინასწარი კვლევის საფუძველზე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვარაუდობს არაუმეტეს 5 სტუდენტის მიღებას. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობასთან. o სტუდენტების რაოდენობა ადეკვატურია უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო სივრცესთან, და იმ რესურსებთან, რომელიც კონკრეტული სადოქტორო პროგრამისთვის გამოყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ. აგრეთვე სტუდენტებისთვის უფრო მარტივი იქნება ინდივიდუალური მუშაობა ხელმძღვანელებთან, რაც ხელს შეუწყობს მათ დაახლოებას აკადემიურ პერონალთან და პროფესორ-სტუდენტს შორის ინფორმაციის გაცვლას. აღსანიშნავია რომ ამ მომენტისთვის, სტუდენტების რაოდენობა არაუმეტეს სამი დოქტორანტია თითოეულ პროფესორზე (ხელმძღვანელზე) - რაც სტუდენტის მიერ არჩეული თემიდან განისაზღვრება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o პროგრამა o გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან o გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან o გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან o სემესტრული გეგმა
რეკომენდაციები: პროგრამაში გაწერილი უნდა იყოს ინდივიდუალური საათების რაოდენობა, ანუ უშუალოდ სტუდენტებსა და პედაგოგებს, აკადემიურ პერსონალსა თუ ნაშრომის ხელმძღვანელებს შორის ინდივიდუალური მუშაობის საათების რაოდენობა, რომელსაც ისედაც ითვალისწინებს მათი სწავლების გრაფიკი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- კვლევითი პროექტები საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით, თვითშეფასების ანგარიშიდან, პროგრამიდან და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე, მტკიცდება რომ უნივერსიტეტი მრავალმხრივ ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. გარდა იმისა რომ, კვლევთი პროექტები, განახლებული სადოქტორო პროგრამის ნაწილია, პროგრამის ფარგლებს გარეთ, სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში.
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დათვალიერების დროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ დოქტორანტი სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე განახლებულია. სტუდენტებს საშუალება აქვთ იმეცადინონ ან/და იმუშაონ როგორც ჯგუფურ პროექტებზე, ასევე დამოუკიდებელ კვლვით ნაშრომებზე.

- აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აგრეთვე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან მტკიცდება, რომ აკრედიტაციის დადგენილ ვადაში აღნიშნულ პროგრამას ჰყავდა 3 კურსდამთავრებული, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ აკადემიური პერსონალის განმარტებით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა ბევრად აღემატება აღნიშნულ ციფრს და პროგრამაზე მიღების ფარგლებში არასდროს ყოფილა ჩავარდნა ან მისაღები სტუდენტების სიმცირე. რაც აგრეთვე სტუდენტებთან გასაუბრების დროს ნათლად გამოჩნდა. უნივერსიტეტს ბევრი ჰყავს სტატუსშეჩერებული სტუდენტი, რაც მათივე განმარტებით, განპირობებულია პირადი პრობლემებით (ფინანსური, ოჯახური და სხვ.) და არ არის დაკავშირებული უნივერსიტეტთან.

- სადოქტორო პროგრამის ნაწილია კურსდამთავრებულების შემდგომი დასაქმება. პროგრამაზე მხოლოდ სამი კურსდამთავრებულია და თითოეული მათგანი დასაქმებულია თავისი პროფილის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ე.წ. საბაზრო კვლევა და აქვს მემორანდუმები გაფორმებული როგორც დამსაქმებლებთან ასევე პოტენციურ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან გასაუბრების დროს დადგინდა რომ სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებული უნივერსიტეტში არსებული დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის არსებობის თაობაზე. ვურჩევდით უნივერსიტეტს უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს თავისი სტუდენტების ინფორმირებულობას მათ მომავალზე და კარიერულ განვითარებაზე. აგრეთვე თუ რა შესაძლებლობები აქვს უნივერსიტეტს დასაქმების ხელშეწყობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მოხდეს სტუდენტების უფრო მეტი ინფორმირება დასაქმების და კარიერული ზრდის თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o უნივერსიტეტში კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაზე აპლიკანტს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენებიდან ერთ-ერთის მინიმუმ B2 დონეზე ჩაბარება. ექსპერტები თვლიან, რომ მხოლოდ რუსული ენის ცოდნით დოქტორანტი ვერ შეძლებს თანამედროვე ევროპულ სივრცეში ინტერნაციონალიზაციას. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, აგრეთვე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან საუბრის შედეგად, დადგინდა რომ სტუდენტების მიერ არჩეული საგამოცდო ენა ყველასთვის იყო განსხვავებული. o წარმოდგენილი პროგრამა არ ითვალისწინებს რომელიმე უცხო ენის სიღრმისეულ სწავლებას. თუმცა უნივერსიტეტს გააჩნია კურიკულუმის ფარგლებს გარეთ სტუდენტებისთვის შეთავაზებული ინგლისური ენის შესწავლის კურსები, რაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის უფასოა და მათი ენის ცოდნის გაძლიერებაზეა ორიენტირებული. ექსპერტთა ჯგუფი ამას მიესალმება და დამატებით ურჩევდა უნივერსიტეტს, სავალდებულო უცხო ენები შემცირდეს სამ ენამდე: ინგლისური, გერმანული და ფრანგულის B2 დონეზე ცოდნა. რუსული იყოს შეთავაზებული როგორც პროგრამის ნაწილი ან კურიკულუმის გარეთ დამატებითი სწავლების საგანი - ისევე როგორც ეხლა შეთავაზებულია ინგლისური.(ეს საკითხი უფრო დეტალურად განხილულია 2.1 ქვეთავში) o უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების გაცვლის მექანიზმი, რაც საშუალებას აძლევს მათ მიიღონ განათლება საქართველოს საზღვრებს გარეთ. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ რამოდენიმე სტუდენტს ვინც იმყოფებოდა შეხვედრაზე ექსპერტებთან ჰქონდა საშუალება ერთი სემესტრით მიეღო განათლება ევროპაში, კერძოდ რუმინეთში. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა იმაში რომ საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახური აქტიურად მუშაობს და უნივერსიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა კონფერენციებში და გაცვლით პროგრამებში. თუმცა ამ მიმართულებით სასურველია და ექსპერტთა ჯგუფი ურჩევდა უნივერსიტეტს, მეტ სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას, რომელშიც სტუდენტები და პედაგოგები უფრო აქტიურად იქნებოდნენ ჩართული. ამავე დროს სასურველია უნივერსიტეტის გააქტიურება სხვადასხვა გაცვლითი პროგრამების ჩარჩოებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან o ინტერვიუ პროგრამის კურსდამთავრებულებთან o ინტერვიუ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან o უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული

ნაშრომები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გააქტიურება უფრო მეტი გაცვლითი პროგრამების ორგანიზებისათვის და უცხოელი ლექტორების მოწვევა და ჩართულობა, რაც გააუმჯობესებს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანალიზზე დაყრდნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციის, ფაკულტეტის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ საფუძველი მოგვცა დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სასწავლო აუდიტორიები, ტექნიკური აღჭურვილობა, კომუნიკაციები და ინტერიერი, ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებს აქვთ წვდომა ელ.რესურსებთან. ბიბლიოთეკას აქვს როგორც წიგნადი, ისე ციფრული ფონდები.

ინფრასტრუქტურა განახლების პროცესშია რემონტი არ არის დასრულებული, მაგრამ ჩვენ გვიჩვენეს დოქტორანტების სამუშაო ადგილები, რომლებიც კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.

სტუდენტები ადასტურებენ უნივერსიტეტში ყოველწლიურ ცვლილებას უკეთესობისკენ, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ სასურველია უფრო აქტიურად ხდებოდეს შენობის ზოგიერთი ნაწილის გარემონტება და განახლება. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს შენობის ცალკეული სართულების რეაბილიტაცია და რექტორის მტკიცებით, გამოყოფილია გარკვეული თანხები, რაც მომავალი თვიდან უნდა მოხმარდეს გასარემონტებელი შენობის დიდი ნაწილის რეაბილიტაციას და განახლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- თვითშეფასების ანგარიში
- ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის (აკადემიური პერსონალის მონაცემები), შესწავლისას და პერსონალთან შეხვედრამ დაადასტურა აკადემიური პერსონალის კომპეტენცია სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამაში ჩართულია 6 პროფესორი. აქედან, ერთი მოწვეულია. მათი ბიოგრაფიები და წარმოდგენილი შრომები, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები ადასტურებს მათ კვალიფიკაციას. სასურველია ცალკეული პროფესორის მეტი აქტიურობა საზღვარგარეთ ნაშრომების პუბლიკაციებთან მიმართებით. კვლევის სფეროებია: საქართველოს ისტორია სხვადასხვა ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ჩარჩოში, საქართველოს ცალკეული რეგიონების, განსაკუთრებით აფხაზეთის, ისტორია. საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების ეპიგრაფიკა, ისტორიოგრაფია, თანამედროვე კვლევების მეთოდები, ევროკავშირის უმაღლესი განათლების განვითარების სტრატეგია და სხვ.

მოქმედ დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებმა ცხადყო აკადემიური პერსონალის და განსაკუთრებით, პროგრამის ხელმძღვანელის განსაკუთრებული ავტორიტეტი და აქედან გამომდინარე სტუდენტების მოტივაცია ისწავლონ ამ პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- ინტერვიუები ფაკულტეტისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან, ასევე დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ცალკეული პროფესორის მეტი აქტიურობა საზღვარგარეთ ნაშრომების გამოქვეყნებასთან მიმართებაში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრამ და ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას და მისი რესურსები ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის სახით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარებიან ფაკულტეტსა და პროგრამის უშუალო განმახორციელებლებს. ადმინისტრაცია ცდილობს მოიპოვოს დამატებითი სახსრები შიდა გრანტებისათვის. მომზადების პროცესშია სტუდენტებთან კომუნიკაციის ელექტრონული ბაზა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მაღალი კომპეტენცია და პროგრამაში ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o წარმოდგენილი დოკუმენტაცია o თვითშეფასების ანალიზი o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან აკადემიურ პერსონალთან და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამისა და პროგრამის თვითშეფასების ანალიზის, ინტერვიუებისა და წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლამ ცხადყო, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო მასალები და ლიტერატურა ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის. მათ საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკის ფონდით, აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული რესურსებით, გამოიყენონ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსები (იხ.4.1). განვლილი აკრედიტაციიდან მოყოლებული მუდმივად ივსება ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რაც აისახება სილაბუსებში (ამავე დროს სასწავლო მასალასთან მიმართებაში გამოთქმული შენიშვნები და შესაბამისი რეკომენდაცია ერთ-ერთ სილაბუსში ლიტერატურის ჩანაცვლება-განახლების შესახებ იხ. 1.3-ში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანალიზი o სილაბუსები o ინტერვიუები

o ბიბლიოთეკის კატალოგები და ელ.რესურსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან. საუნივერსიტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და სრულყოფას. ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების ფინანსურ უზრუნველყოფას. მიუხედავად ზემოთქმულისა, საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ სადოქტორო პროგრამის კონკრეტული ბიუჯეტის შემუშავების აუცილებლობა რისკების გათვალისწინებით. ბიუჯეტი უნდა ასახავდეს პროგრამის მონაწილე პროფესურისა და სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის, კონფერენციების, შეხვედრების ორგანიზაციის, მივლინებების და სხვ. ხარჯებს. აქვე სასურველია გათვალისწინებული იქნას წარჩინებულ სტუდენტთა ფინანსური დახმარება (იხ.5.2)
მტკიცებულებები/ინდიკატორები

o ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o სტუდენტები ადასტურებენ რომ მათ აქვთ საშუალება ანონიმურად შეაფასონ, როგორც კონკრეტული საგანი ან განაცხადონ ნებისმიერი სახის პრეტენზია როგორც პირადად დეკანთან, პედაგოგთან, ან პროგრამის ხელმძღვანელთან მისვლით, ისევე უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურში. თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრებით, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს წერილობით გამოკითხვებს რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელია პროგრამის გაუმჯობესება. უნივერსიტეტი ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვას, წინასწარ გამზადებული ფორმებით და უნივერსიტეტი ადასტურებს რომ ელექტრონული ბაზის შექმნის მერე გამარტივდება გამოკითხვების ჩატარება და ექსპერტთა ჯგუფის აზრით პროგრამის განვითარება უფრო ინტენსიურ სახეს მიიღებს. აღნიშნული გამოკითხვით შესაძლებელია ანონიმურად შეფასდეს პროგრამა, პედაგოგი, ზოგადად უნივერსიტეტი. ხარისხის მართვის სამსახურის განცხადებით, ანონიმური შეფასებები სემესტრის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ ტარდება. აქვე უნდა აღინიშნოს რომ წარმოდგენილი პროგრამა უკვე 7 წელია რაც წარმატებულად ატარებდა გამოკითხვებს, ამ პროგრამისა და გამოკითხვების შედეგებზეა დაფუძნებული განახლებული სადოქტორო პროგრამის ვარიანტი საქართველოს ისტორიის მიმართულებით. ხარისხის სამსახურის ჩართულობა და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინფორმირებულობა უნივერსიტეტის შიდა საკითხებში, ადასტურებს მიზანმიმართულ სწრაფვას ხარისხის გაუმჯობესებისკენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან o გასაუბრება ხარისხის მართვის სამსახურთან o გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან o კურსდამთავრებულთა დასაქმების ელექტრონული დოკუმენტაცია o თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • დოქტორანტურაში არ არსებობს უნივერსიტეტის დაფინანსების ან სტიპენდიის სახით ხელშეწყობის პროგრამა. ექსპერტთა აზრით სასურველი იქნება თუ უნივერსიტეტი სამომავლოდ ბიუჯეტში გაითვალისწინებს წარჩინებული სტუდენტებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას, ეს თავისთავად აამაღლებდა სტუდენტთა მოტივაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან და მოქმედ დოქტორანტებთან ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველი იქნება თუ უნივერსიტეტი სამომავლოდ ბიუჯეტში გაითვალისწინებს წარჩინებული სტუდენტებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საქართველოს ისტორია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია		
საბოლოო შეფასება		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საქართველოს ისტორია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია		
საბოლოო შეფასება		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: